

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის 60 დადგენილებით და განისაზღვრა 6478,5 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სულ 9 თვის განმავლობაში განხორციელდა 15 ცვლილება, აღნიშნული ცვლილებების შედეგად ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 17041. 9 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პირველი ცვლილების საფუძველი იყო 2019 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთის განაწილება მუნიციპალიტეტის 2019 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 3,254,084 ლარი საიდანაც 84351,55 ლარი ბანკში ანგარიშზე არსებული ნაშთია ხოლო 3.169.132 ლარი მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე განთავსებული ნაშთი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეორე ცვლილების საფუძველი გახლდათ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 თებერვლის 331 განკარგულება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 2730 402 ლარი, ასევე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის 2018 განკარგულება. რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროექტების ფონდიდან გამოეყო 620000 ათ.ლარი, ასევე ცვლილების საფუძველი იყო საქართველოს განათლების მეცნიერების კულტურის და სპორტის მართვებობის სფეროში შემავალი სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ „ ზოგიერთი მუნიციპალიტეტი უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის #13 განკარგულების შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის 2019 წლის 18 თებერვლის სახაზინო ანგარიშზე ჩარიცხული თანხამ შეადგინა 43 744.18 ლარი და 2019 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული დარჩენილი გაუნაწილებელი ნაშთის 1435864 ლარი .განაწილება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მესამე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის 13 განკარგულება „ ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ. და მასში შეტანილი ცვლილება 2019 წლის 8 თებერვლის 207 განკარგულება, რის საფუძველზეც საჯარო სკოლების მომზადებისათვის მუნიციპალიტეტის გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა 320.0 ათ. ლარი. აქედან გამომდინარე ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 13126.7 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მეოთხე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის 788 განკარგულება საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 2914 923 ლარი, ასევე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 მარტის 674 განკარგულება რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს ამბულატორიული მომსახურების

მიწოდების მიზნით. საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისთვის გამოეყო 2018.000 ლარი. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 13830.3 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მეხუთე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 19 აპრილის 841 განკარგულება ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 356,282 ლარი, ასევე ბიუჯეტში ცვლილების საფუძველი გახლდა 2019 წლის 18 იანვრის # 13 განკარგულების შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის 2019 წლის 30 აპრილს სახაზინო ანგარიშზე ჩაირიცხა 58 828,38 ლარი. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მორიგი ცვლილების საფუძველი გახლდათ მთავრობის 2019 წლის 25 აპრილის 982 განკარგულება სადაც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 3190, 0 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 14311.4 ათ. ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეექვსე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 აპრილის 987 განკარგულება,რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის 2018-2019 წლების სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით. გამოიყო 215.0 ლარი, რის საფუძველზეც ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 14526.4 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეშვიდე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 მაისის 1119 განკარგულება რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან ქ.ცაგერში სპორტული დარბაზის მშენებლობისთვის დასრულებისთვის გამოეყო 341.590 ათ.ლარი. აღნიშნული სპორტული დარბაზის მშენებლობა მუნიციპალიტეტმა ტენდერის გზით შეისყიდა 2015 წლის ნოემბერში,რიგი სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო აღნიშნული მშენებლობა ძალზედ გაჭიანურდა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის აზრით მუნიციპალიტეტმა სპორტული დარბაზის მშენებლობის მომდინარეობისას ვერ დააწესა შესაბამისი კონტროლი და პროცესი ვერ წარმართა ისე, რომ მშენებლობა დამთავრებულიყო დროულად და ხარისხიანად რის გამოც მოსახლეობამ ვერ მიიღო შესაბამისი სარგებელი, თუმცა დღეის მდგომარეობით მშენებლობა დამთავრების სტადიაში.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერვე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ივნისის 1284 განკარგულება რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროექტების დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 379 964 ლარი, ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 15715,6 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მეცხრე ცვლილების საფუძველია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ. „ ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის 13 განკარგულება, რის

საფუძველზეც ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის დაფინანსება გამოიყო 46067.18 ლარი. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 15 761,7 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მეათე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 ივნისის 1371 განკარგულება , კერძოდ, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 728 362 ათ.ლარი და ბიუჯეტმა შეადგინა 16 238.0 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტში მეთერთმეტე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის # 13 განკარგულება, რომლის შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვისათვის დაფინანსების ხელშეკრულება 127811 ლარი, ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილების საფუძველია ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებისა და კოდებს შორის შიდა რესურსების გადანაწილება. ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 16.334.4 ათ. ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეთორმეტე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივნისის 1663 განკარგულება, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოეყო 752,960 ათ.ლარი. და ბიუჯეტმა შეადგინა 17 087,4 ათ. ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მეცამეტე ცვლილების საფუძველია ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდებსა და მუხლებს შორის შიდა რესურსების გადანაწილება . ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მე-13-ე ცვლილების საფუძველია ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის შიდა რესურსების გადანაწილება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის მეთოთხმეტე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 აგვისტოს 1869 განკარგულება, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ნაწილში აისახა გრანტებში, ხოლო ხარჯების მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამუშაოებში. აღნიშნული ცვლილებით მოხდა თავდაპირველი თანხის დაზუსტება და მოხდა სოფ.ჩხუტელი, ღვირიშის ლაილაშის, ტვიშის, უსახელოს, ლასურიაშის, ალპანის და ოყურემის ამბულატორიების შენობების რეაბილიტაცია და სოფ.ქვ.ცაგერის ამბულატორიის მშენებლობა, თანხა შემცირდა 24601 ლარი.

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთებიდან 2015 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტით გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ნაშთი შეადგენს 72600 ლარს. აღნიშნული თანხების მიმართვა 2020 წლის განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების დაფინანსებით საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას მოზანშეწონილად მიაჩნდა. ყოველივე ამ ცვლილების გათვალისწინებით ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 17041.9 ლარი.

შემოსავლების გეგმა 12221, 6 ათ.ლარის ნაცვლად შემოსულია 8750,7 ათ.ლარი .გეგმა შესრულდა 71.5% . მათ შორის ქონება გეგმა იყო 321,0 ათ.ლარი ფაქტიურად შემოსავალმა შეადგინა 397,1 ათ.ლარი. დამატებითი ღრებულების გადასახადის გეგმა შესრულდა 103,4%.

გრანტის სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგინა 7433.9 ათ.ლარს. ფაქტიურად შემოსულია 3692,3 ათ.ლარი ანუ გეგმის 49,7 %. გეგმა ვერ შესრულდა მიზნობრივი თანხის ნაწილშიც 70,74 გადაჭარბებით შესრულდა სხვა შემოსვლები 119,8 ათ.ლარი ნაცვლად შემოსული 166 ათ.ლარი გეგმა შესრულდა 138,5%. პროცენტებიდან 4,5 ათ.ლარი ნაცვლად შემოსული 1,0 ათ.ლარი. ბუნებრივი რესურსების სარგებლობის გადასახადიდან გეგმა შესრულდა 84,4 %-ით. არასწორადაა დაგეგმილი ჯარიმების სანქცია საურავების გეგმაც ანუ გეგმა იყო 35,0 ათ.ლარი, ფაქტიურად შემოსულია 7,9 ათ.ლარი.....გეგმის 22,7 %-ია შესრულებული. ასევე არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავლის გეგმა შესრულდა 36,4%-ით.

ყველაზე მნიშვნელოვანი ჩავარდნა გვაქვს ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის კუთხით. აღნიშნული უნდა დაფინანსებულიყო 11695,7 ათ.ლარით და დაფინანსდა 60834 ათ.ლარით. არსებული პრობლემა გამოწვეული არის შეუსრულებელი და დაუმთავრებელი პროექტებით რაც საბოლოოდ მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე აისახება ცუდად, რადგან გამოყოფილი თანხის აუთვისებლობის გამო ადამიანები ვერ იღებენ იმ საჭირო სიკეთეებს რისთვისაც აღნიშნული თანხა უნდა დახარჯულიყო. ამიტომაც საფინანსო-საბიუჯეტო კომისია უარყოფითად აფასებს ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების პროცესს. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას აძლევს რეკომენდაციას, იმის თაობაზე, რომ აღნიშნული არ განმეორდეს 2020 წლის ბიუჯეტში.

2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების დროს ყველა მხარჯველი ორგანიზაცია მათ შორის ა(ა)პე-ბის შრომითი ანაზღაურება დაფინანსებული იყო სრულად ანუ თორმეტ თვეზე 9 თვის ანალიზის დროს აღმოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტს ა(ა)პ-ებში დასაქმებული ადამიანების სახელფასო დავალიანება აქვს რამდენიმე თვის, რაც გამოწვეულია მიმდინარეობაში დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობის ზრდით. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ სუბსიდიის გაცემა ა(ა)პ-ებში დასაქმებული ადამიანებისთვის ხდება ისე, რომ არ არის გაანგარიშებული რომელ პერიოდში რა თანხა უნდა გაიხარჯოს. ამიტომაც საბიუჯეტო კომისია თვლის, რომ უნდა განხორციელდეს ა(ა)პ-ების საქმიანობის შეფასება და სუბსიდიების ხარჯვის კონტროლი. ასევე განხორციელდეს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების და მასში არსებული სამტატო ერთეულების ოპტიმიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ამ დაწესებულებების საქმიანობის პროდუქტიულობის გაზრდას და საბიუჯეტო რესურსის რაციონალურ გამოყენებას.